



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მხრები თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 8.1% შეადგინა, ხოლო იანვართან შედარებით ფასები 0.3%-ით შემცირდა.

საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და ბოლო თვეებში შემცირების ტრენდი აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები სტაბილურად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამყარებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.3% (წლილი)



წლიური ინფლაცია 8.1% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ყველაზე გამოსარჩევი სეზონური ფაქტორების გამო ბოსტნეულის გაძვირება იყო, რამაც ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა. საპირისპიროდ, ბენზინის 6.5%-ით გაიაფებამ თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით შეამცირა.

სურსათზე ფასების ზრდამ თებერვლის წლიურ ინფლაციაში 4.2 პპ-იანი წვლილი შეიძინა. აქედან ყველაზე მსხვილი კომპონენტები ყველზე, პურზე, კარტოფილზე და ხორცზე წლიურად გაზრდილი ფასებია. ამ პროდუქტების წვლილი ჯამში 2.4 პპ-ს შეადგენდა. ბოლო თვეებში საწვავის (ბენზინი, დიზელი და გაზის საწვავი) თანდათან გაიაფების პარალელურად საწვავის წვლილიც ინფლაციაში მცირდებოდა. თებერვალში ამ მაჩვენებელმა უკვე უარყოფითი 0.4 პპ შეადგინა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს თებერვალში 6.6 %-ს შეადგენდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ინფლაციის შემცირებას მეცნიერულად იმპორტირებული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტირებულ ინფლაციას კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების გარკვეულ სტაბილიზაციასა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. თებერვალში იმპორტირებული ინფლაცია 2.9%-მდე შემცირდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციამ წინა თვესთან შედარებით მცირედით მოიკლო, თუმცა მთლიანი და 13.8%-ს შეადგენს. მთლიანი ადგილობრივი ინფლაცია ერთი მხრივ, სურსათის (პური, ყველი, ხორცის) ფასების წლიურ ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების გაძვირებას უკავშირდება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ბინის ქირის (წვლილი ინფლაციაში 0.7 პპ) და სანოცარო გადასახდელის (0.3 პპ) გაძვირებაა.

იმპორტირებული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია დეტალურად	2023 წლის წონები	თებ23/იან23		თებ23/თებ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.3%	-0.3%	8.1%	8.1%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	1.2%	0.4%	14.0%	4.6%
სურსათი	30.9%	1.1%	0.3%	14.2%	4.2%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.2%	0.0%	21.0%	1.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.5%	0.1%	10.2%	0.7%
თევზი	0.5%	0.6%	0.0%	12.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-2.3%	-0.2%	17.2%	1.1%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-0.1%	0.0%	1.5%	0.0%
ხილი, ყურძენი	1.6%	2.2%	0.0%	-0.3%	0.0%
ბოსტნეული, ბღრეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	10.2%	0.4%	25.8%	0.9%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	0.8%	0.0%	9.8%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.6%	0.0%	10.9%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	1.8%	0.1%	12.8%	0.4%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	0.0%	0.0%	7.3%	0.5%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-1.2%	0.0%	2.0%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.4%	0.0%	12.4%	1.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	0.4%	0.0%	10.1%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-4.9%	-0.5%	-7.6%	-0.8%
ტრანსპორტი	12.3%	-1.5%	-0.2%	2.6%	0.3%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.5%	0.0%	-2.9%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	0.1%	0.0%	4.5%	0.1%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	7.2%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.3%	0.0%	14.8%	0.4%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.6%	0.0%	12.2%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-0.5%	-0.3%	7.3%	4.7%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	-0.7%	0.0%	5.4%	0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.2%	0.0%	-6.6%	-0.4%
მომსახურება	24.4%	0.5%	0.1%	12.8%	3.0%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2023 წლის იანვარში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 6.95 მლრდ ლარით გაიზარდა (თვეურად 642.2 მლნ ლარით შემცირდა) და 43.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 18.9%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, იანვარში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 255.2 მლნ ლარით (1.3%-ით) გაიზარდა და 19.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად სამთავრობო სექტორის დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 126.8 მლნ დოლარით შემცირდა, რაც ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების კლებას უკავშირდება. იანვარში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტების 682.4 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის იანვარში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 6.47% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 8.5% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე პრაქტიკულად არ შეცვლილა და 0.8% შეადგინა. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც მეტწილად ლარისა და დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 12.3% შეადგინა. დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით 1.0%-მდე შემცირდა. ხოლო ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 1.1%-ის დონეზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით შემცირდა და 55.0%-ს შეადგინა. იანვრის ბოლოს, იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით 40.0%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით 70.8%-მდე გაიზარდა. იანვრის თვეში ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით და 66.2%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის იანვარში, გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით, სესხები წლიურად 13.3%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 1.2 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება მეცნიერულ უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. იანვარში ლარიით დაკრედიტება წლიურად 16.6%-ით, 24.4 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით) 10.1%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდის ტემპის მატება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. წინა თვესთან შედარებით, გაზრდილია იპოთეკური სესხების ზრდის ტემპიც. შემცირებას განაგრძობს სამომხმარებლო სესხების ზრდა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები ბიზნესობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის იანვარში სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.8 პპ-ით 17.0%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.2 პპ-ით შემცირდა და 7.4% დონეზეა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და მიმდინარე წლის იანვარში და 13.9% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით შემცირდა და 12.2% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონედარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მალაღონებულად დონეზეა. კერძოდ, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით - 6.2%-მდე გაიზარდა. თუმცა, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთებმა, წინა თვესთან 0.5 პპ-ით, 8.6%-მდე მოიკლო.

იანვარში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით მოიმატა და 44.7%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით გაიზარდა და 61.0%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.7 პპ-ით 30.7%-მდე გაიზარდა. იანვარში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 67.6 მლნ ლარით გაიზარდა და 515.4 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 36.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

დავალიანების აბსოლუტური მნიშვნელობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო საქონლის ბალანსი

2023 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 15.8%-ით გაიზარდა და 543.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 25.2%-ით, 1,002.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 38.5%-ით გაიზარდა და 459.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (იანვარი, 2023)




წყარო: საქსტატი


წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2023 წლის იანვარში საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესად შუალედური სახის საქონლის მატებამ განაპირობა. კერძოდ, **შუალედური სახის საქონლის შესყიდვების ზრდა მეცნილად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნავთობაირების შესყიდვების ზრდას უკავშირდება.** ამასთანავე შუალედური სახის საქონლიდან წლიურად შემცირდა ელექტროენერჯის იმპორტი. იანვარში ასევე მალაღონებულად იყო სამომხმარებლო საქონლის იმპორტიც. სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში მალაღონებულად წვლილით ნავთობი და ნავთობპროდუქტები გამოირჩეოდა. გარდა ამისა, იანვარში რეექსპორტის ერთ-ერთი სახეობის - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი წლიურად ზომიერად შემცირდა. საინვესტიციო საქონლის მატება უმეტესად 10 მგზავრზე მეტი გადაწყვანი ავტომობილების შესყიდვებმა გაზარდა. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 12.5%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)




ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მალალი წვლილი შეიძლება რუსეთმა, რაც, კვლავ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობის აირების შემოტანას უკავშირდება. თურქეთიდან იმპორტის ზრდა ტანსაცმლისა და სამაცივრე მოწყობილობების, ხოლო სომხეთიდან როგორც სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, გერმანიიდან - მსუბუქი ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადაწყვანი მანქანების, ინდონეზიიდან და ჩილედან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, საფრანგეთიდან - სხვა საფრენი აპარატების, ხოლო გერმანიიდან - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება იაპონიიდან - მსუბუქი ავტომობილების, ჰონკონგიდან - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკებისა და სატელეფონო აპარატების, უკრაინიდან ფეროშენადნობებისა და ფოლადის ნაგლინის, ბულგარეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებით არის გამოწვეული. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო. **იანვარში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობის აირებს (26%) ეჭირა.** აღსანიშნავია, რომ იანვარში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის იანვართან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (იანვარი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

ნავთობის აირები, 92	მსუბუქი ავტომობილები, 86	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 82	სამკურნალო საშუალებები, 23	10 მგზავრზე მეტი ავტომობილები, 15	ტრანსპორტი, 9	საგირითო ავტომობილები, 8	სატელეფონო აპარატები, 28
---------------------	--------------------------	---------------------------------	----------------------------	-----------------------------------	---------------	--------------------------	--------------------------

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (იანვარი, 2023)





წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2023 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 38.5%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მცირედით მოიმატა. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მადნაში მნიშვნელოვანი წვლილი (48.2 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიძინა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების ექსპორტი წლიურად (62%-იანი მადნებით) ისევ გაიზარდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა დააჩქარა. აღსანიშნავია, რომ საინვესციციო საქონლიდან 10 მგზავრზე მეტი გადაწყვანი მანქანების, ასევე გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების ექსპორტი მალალი იყო. იანვარში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 45.3%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიძენა სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილებისა და 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი მანქანების გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან რუსეთში ფეროშენადნობებისა და მსუბუქი ავტომობილების, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და აზერბაიჯანში კი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი არსებითად გაიზარდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ცაჯიკეთთან მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო საგარეო ვაჭრობის ბალანსი, დეკემბრის მსგავსად, კვლავ დადებითი იყო.** დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო პერუში ქიმიური და მინერალური სასუქების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში ფეროშენადნობებისა და ქიმიური სასუქების, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, რუმინეთში ქიმიური და მინერალური სასუქების, ხოლო უზბეკეთში - სამკურნალო საშუალებების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 72% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ინვარში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე ფეროშენადნობებს ეჭირა (49% წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (20.5 კპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძენა, რომელიც წლიურად 187%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ფეროშენადნობებზე, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი მანქანებსა და შერეულ საქონელზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 13.3 კპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, დაფასობული სამკურნალო საშუალებების, მინერალური და მტკნარი წყლებისა და ცანსაცმელის ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ინვარი 2023, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ინვარი 2023)

მსუბუქი ავტომობილები, 104	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 68	ფეროშენადნობები, 51		მინერალური/ქიმიური, სასუქები, 21	
		10 მგზავრზე მეტი ავტომობილები, 18	ყურძნის ნატურალური ღვინოები, 16	დაუმუშავებელი ოქრო, 10	
		სპირტიანი სასმელები, 13	სივარები-სივარები, 8	თხილი და სხვა კაკალი, 8	




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2023 წლის იანვარში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 163.5%-ით მოიმატა და 444.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 12.7%-ით 26.3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები იანვარში კვლავ მაღალი იყო (268 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 12-ჯერ მეტია. იანვარში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მაღალი ცემპით გაიზარდა (60.1%-ით) და მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 1.0 პპ წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია ასევე ყაზახეთიდან გაზრდილი გზავნილებიც (32.1%-ით), ხოლო აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ შემცირებას განაგრძობს. მაღალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (40.8%-ით). რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს იანვარში რუსეთი (60.1%), ევროკავშირის ქვეყნები (21.3%) და აშშ (6.4%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (იანვარი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2023 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6875-დან 2.6763-მდე (0.4%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.8428-დან 2.8813-მდე (1.4%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6410 და 2.8813 შეადგინა. იანვარში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.7094, ხოლო მინიმალურმა 2.6393 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


იანვარში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროს გამყარება, ასევე გამყარების ტენდენცია ჰქონდა ლარს; სომხურ დრამი და თურქული ლირა მცირედით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი მნიშვნელოვნად გაუფასურებულია. აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებაში. 2023 წლის იანვარი (ზრდა=მაუზუასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. იანვარში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 15.4%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 24.6%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით, იანვარში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.9%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. სავაჭრო პარტნიორთაგან იანვარში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და რუსეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - ევროზონაში, სომხეთსა და აშშ-ში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის იანვარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 6¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით კონცენტრაცია შემცირებულია. შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 264.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 21.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის იანვართან შედარებით 209.1 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 0.6%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 137.0%-ით გაიზარდა.


2023 წლის იანვარში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და 3,138.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 1553.5 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 151.1 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 4.9% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 155.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურად გაზრდილია, ხოლო თვიურად შემცირებული. საერთო ჯამში, იანვარში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 811.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 51.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,630.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 742.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 99.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,508.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


იანვარში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 0.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 56.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 16.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 8.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის იანვარში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 2.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლებების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

იანვარში სადეპოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადეპოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და იანვრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, და ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60, მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 136.7 მლნ ლარით შემცირდა და 6,668.8 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 55.2%-ს კომერციული ბანკების, 30.3%-ს ეროვნული ბანკის, 9.4%-ს რეზიდენტების, ხოლო 5.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიციო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მონეარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს მერყეობს. იანვარში, სადეპოზიციო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.11 პპ-ით 9.85%-მდე შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი არ შეცვლილა და 9.84%-ს შეადგენდა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.41% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.04 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 9.01% იყო. ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.01 პპ-ით 8.81%-მდე შემცირდა. ასევე არ შეცვლილა ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი და 9.35%-ს შეადგენდა. გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთ-ერთ ფაქტორი შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მოლოდინების შემცირება იყოს.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 2,202.5 მლნ ლარით, (წლიურად 9,853.0 მლნ ლარით გაიზარდა) 13,265.3 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებამ განაპირობა. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (70.6%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,152.0 მლნ ლარით (13.8%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 700.3 მლნ ლარით (15.2%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.17 პპ-ით შემცირდა და 10.54% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.27 პპ-ით 1.65%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ იანვარში ფულადი ბაზრის რესურსის 31.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 68.1% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აკრედიტები

2023 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 645.4 მლნ ლარით (10.3%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 144.3 მლნ ლარით (2.6%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 35.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 155.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 119.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. იანვარში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 769.9 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,009.9 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე თვეში, ნაღდი ფულზე მოთხოვნა 295.2 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 1,130.0 მლნ ლარით შემცირდა და 1,310.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 240.0 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 57.7 მლნ ლარით შემცირდა და 314.1 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,427.8 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1965.0 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2023 წლის იანვარში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1,444.2 მლნ ლარით შემცირდა, M2 აგრეგატის (ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული და სადეპოზიტო ვალდებულებები უცხოური ვალუდით) შემცირების გავლენით. თავის მხრივ, M2 აგრეგატის კლება (შემცირდა 705.4 მლრდ ლარით) მეტწილად ეროვნული ვალუდის დეპოზიტების კლებამ განაპირობა (შემცირდა 478.2 მლნ ლარით).

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

